



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 180

2011 წლის 21 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დოკუმენტაციის წიგნად აკინძვის და ყდაში ჩასმის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 15 დეკემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110031878) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დოკუმენტაციის წიგნად აკინძვის და ყდაში ჩასმის მომსახურების შესყიდვაზე, რომელსაც 21 დეკემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. გამგეობის დოკუმენტაციის წიგნად აკინძვის და ყდაში ჩასმის მომსახურების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დოკუმენტაციის წიგნად აკინძვის და ყდაში ჩასმის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

